ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიის ტრანზიციის დებულება

დამტკიცებულია
ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის
სახელობის სკოლა-გიმნაზიის დირექტორის
ბრძანება № 62 20.12.2025 წ

2025 წ

ტრანზიცია

1. სკოლა-გიმნაზიაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლ-გიმნაზიას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.
2. ადაპტაციის წესით სკოლა-გიმნაზია მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში;
3. სკოლა-გიმნაზია ადგენს დეადაპტაციის ნიშნებს და მიმართავს შესაბამის ზომებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ადაპტაციის გაადვილების მიზნით.
4. საქმისმწარმოებელი შესაბამისი კლასის დამრიგებელს აწვდის ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ და წინა სკოლიდან მიღებულ პირად საქმეს;
5. აღიარების საფუძველზე სკოლა-გიმნაზიაში ჩარიცხული მოსწავლის შემთხვევაში, საქმისმწარმოებელი აწვდის კლასის დამრიგებელს მოსწავლის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების შესახებ ინფორმაციას;
6. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს;
7. ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) კლასის დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას;
8. ზოგადად,კლასის დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის;
9. კლასის დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ;
10. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლა-გიმნაზიაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს.
11. სკოლა-გიმნაზიის პირველი კლასის დამრიგებელი მუდმივად თანამშრომლობს თემში არსებულ საბავშო ბაღებთან, აგროვებს ინფორმაციას პოტენციურ პირველკლასელთა შესახებ, აცნობს მშობლებსა და ბავშვებს სკოლა-გიმნაზიის სტრუქტურას, ეპატიჟება სასკოლო ღონისძიებაზე.
12. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბაზო საფეხურიდან საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა ტრანზიციას;
13. მნიშვნელოვანი აქტივობები იმართება მოსწავლეთა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში ტრანზიციის ხელშეწყობისთვის;
14. სკოლა-გიმნაზია სრულ მზაობას გამოხატავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა ადაპტირებისა და საფეხურებრივ ტრანზიცირების წარმატებით განხორციელებისთვის;
15. სკოლა ხელს შეუწყობს სსსმ მოსწავლეთა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში ტრანზიციას სხვადასხვა ტიპის აქტივობებით.